

შპს „გ ზ ა მ შ ე ნ ი-18“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შპს „გზამშენი-18“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ერთეულ ლარში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები		31.12.2018	31.12.2017
ძირითადი საშუალებები	6	1 698 099	1 453 529
არამატერიალური აქტივები	7	0	0
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	31 167	447 560
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	472 955	2 279 375
მიმდინარე აქტივები	10	28 874	37 303
მთლიანი აქტივები	11	2 231 095	4 257 767
მთლიანი კაპიტალი		1 741 759	2 472 480
საწესდებო კაპიტალი	12	1 017 861	1 017 861
გაუნაწილებელი მოგება	13	723 898	1 454 619

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	187 447	1 337 890
საგადასახადო ვალდებულებები	15	51 554	47 062
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	16	250 335	400 335
მთლიანი ვალდებულებები		489 336	1 785 287
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2 231 095	4 257 767

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 3 იანვარს.

შპს „გზამშენი-18“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ერთეულ ლარში.

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	31.12.2018
--------------------------------	------------

ამონაგები	7 875 930
-----------	-----------

თვითღირებულება	
----------------	--

საერთო მოგება

სხვა შემოსავლები	76 757
------------------	--------

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6 948 815
-----------------------------------	-----------

პერსონალის დანახარჯი	1 323 349
----------------------	-----------

იჯარის ხარჯი	262 355
--------------	---------

საპროცენტო ხარჯები	51 047
--------------------	--------

სულ საოპერაციო ხარჯები	8 817 958
------------------------	-----------

მოგება დაბეგვრამდე

მოგების გადასახადი	
--------------------	--

პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-942 028
-----------------------------------	----------

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 3 იანვარს.

შპს „გზამშენი-18“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ერთეულ ლარში.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2018 წლის 31 დეკემბერი

მოგება წლის ბოლოს	-942 028
-------------------	----------

გაცემული დივიდენდები	249 181
----------------------	---------

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	481 540
---------------------------------------	---------

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 3 იანვარს.

შპს „გზამშენი-18“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ერთეულ ლარში.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „გზამშენი-18“ (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო ნომრით 237081206, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2000 წლის 10 აპრილს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ოზურგეთი, თაყაიშვილის ქუჩა N62.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების მშენებლობა. კომპანიის საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანიის დირექტორი და პარტნიორთა წილის 49%-ის მფლობელი არის თეიმურაზ ჯახვა (პ.ნ. 33001007092) კომპანიის წილის დანარჩენი 51% განაწილებულია კომპანიის 17 პარტნიორზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2020 წლის 3 იანვარს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა მითითებულია ლარში.

კომპანიას მანამდე არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის სხვა რომელიმე სტანდარტების მიხედვით, ამიტომ ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ მის გაცხადებულ ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 3 იანვარს.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე 12 თვეს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

1. 2018 წელს კომპანიამ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისო ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
2. 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.
3. კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ხდება პირველად. კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას შესაბამისი კატეგორიის საწარმოებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით, რაზე დაყრდნობითაც მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი კომპანიისთვის არის 2018 წლის 1 იანვარი.
4. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ვალუტის კურსის შესაბამისად.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 3 იანვარს.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალების აღსარიცხავად კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია პირვანდელი ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება, კომპანია ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად და შესაბამისად ხდება ცვეთის დარიცხვა, რომლის ხარჯად აღიარება ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

კომპანიის მიერ განსაზღვრულია აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, რომლის მიღებას მოელის საწარმო ამ აქტივისგან მისი სასარგებლო გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივები.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს, მოიცავს მარაგების შემენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, რომელთა გაწევაც საჭირო გახდა მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური აქტივები

მსს ფასს მიხედვით ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები. გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები

ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრებს და მის ექვივალენტებს.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადის მიღებაზე. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც კომპანიამ შექმნა, აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის და ვალდებულების სახით. საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში, სესხები და მისაღები ანგარიშები ჩამოიწერება მაშინ, როცა მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც მოგებაში ან ზარალში ასახული სესხები და გადასახდელი ანგარიშები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სესხის მირების ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 3 იანვარს.

შპს „გზამშენი-18“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ერთეულ ლარში.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები. (დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი. ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის კომპენსაციის მიღება და სხვა).

კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარებული არის დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ კრების ოქმის სახით გადაწყვეტილების მიღებისთანავე. მოგების გადასახადის ხარჯი წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადის აღიარება ხდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლის ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში, თუ ეს კონკრეტული შემოსავალი, ხარჯები და აქტივები მიეკუთვნება დღგ-თ დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ს ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხა ასახულია ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების ნაწილში.

საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების ნაწილში.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. იჯარის ხელშეკრულებაში მითითებულია იმ აქტივების გამოყენება, რომლებიც საჭიროა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულყოფილად შესრულებისთვის. საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ ჩაითვლება ფინანსურ

იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად, ხოლო იჯარიდან შემოსული თანხების აღიარება ხდება საოპერაციო შემოსავლებში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. ხოლო ფულადი სახსრების ნაშთი აისახება საანგარიშო წლის ბოლოსათვის არსებული კურსით.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არა საოპერაციო შემოსავლებად.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებების და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს გადახედავს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას

განხილული იქნება ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი გამოყენება, სავარაუდო ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და გარემო, რომელშიც ხდება აქტივების გამოყენება.

ბალანსის ახსნა განმარტებები

შენიშვნა: 1	2018 წელი
ძირითადი საშუალებები სულ	1 698 099
სატრანსპორტო საშუალებები	1 484 463
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	6 780
შენობა ნაგებობები	20 6856

შენიშვნა: 2

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2018 წელი
ფული საბანკო ანგარიშებზე	31 167

შენიშვნა: 3

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2018 წელი
	472 955

შენიშვნა: 4

მარაგები	2018 წელი
ნედლეული და მასალები	3 691 747

შენიშვნა: 5

სესხები	2018 წელი
მოკლევადიანი სესხები	250 335

შენიშვნა: 6

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2018 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	187 487

შენიშვნა: 7

საგადასახადო ვალდებულებები	2018 წელი
საშემოსავლო გადასახადი	20 554
დღგ	31 000
სულ	51 554

შენიშვნა 8:	2018 წელი
საქონლის გაყიდვა	42 401
მომსახურების გაწევა	7 756 772
სხვა საოპერაციო შემოსავალი	76 757
სულ	7 875 930

შენიშვნა 9:	
თვითღირებულება	2018 წელი
გაყიდული შეძენილი საქონელი	3 170 648

შენიშვნა 10:	
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	2018 წელი
რეკლამის ხარჯი	2 889
ტექნიკის იჯარის ხარჯი	262 355
კომუნალური ხარჯი	27 210
საგზაო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები	2 796 474
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	182 179
საწვავის ხარჯები	705 208
საპროცენტო ხარჯები	51 047
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	64 207
ცვეთა და ამორტიზაცია	232 392
სულ	4 323 961

შენიშვნა 11:	
პერსონალის დანახარჯი	2018 წელი
შრომის ანაზღაურება	1 323 349

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 3 იანვარს.